01 MAI

RUGACIUNEA 4

SF.REGINE

TAMARA A GEORGIEI

საველდრებელი ლოცვა

ჵ, ღმრთივსათნოჲთა მეფობითა და საქმითა მოღუაწებისაჲთა განბრწყინვებულო მოქალაქეო ზეცისა იერუსალჷმისაო, წმიდაო თამარ! ზესთამბრძოლო ქართველთაო და სიქადულო დედათაო, მოწყალეო, ურისხველო, გლახაკთა ჴელის-აღმპყრობელო და დავრდომილთა მსწრაფლ-შემწეო, ოხითა შენითა განმამხიარულებელო მჭმუნვარეთაო და სიმტკიცეო და ძალო სარწმუნოებითა შენდამი მოლტოლვლთაო!

ჵ, წმიდათა შორის დიდებულო და დედათა შორის კეთილმსახურებითა განბრწყინვებულო, ყოვლადსაკჳრველო მეფეო თამარ! დედობრივისა შენისა გულმოწყალებითა შეგვაწყნარენ შენ მიერ შეყუარებულსა ტკბილსა იესუს, ღმერთსა ჩუენსა, რაჲთა უსაზღვროჲთა მოწყალებითა თჳსითა მოხედოს დედისა თჳსისა წილხვდომილსა ერსა

ჩუენსა, მტკრთველსა საუფლოჲსა ჯუარისაჲსა ქუეყანასა ზედა და დაიცვას მტერისა საფრჴისაგან და ძმათა მტერობისაგან, ხოლო სარწმუნოებაჲ ჩუენი მისსა მიმართ კუალად განაახლოს და აღგვდგინოს ცხებული ძირისაგან დავითისა, რომელი ძალითა ჯუარისაჲთა მოჰკრძალავს ზოგად ყოველთა საზღუართა საქართვე-ლოჲსასა და აღამაღლებს და აღადგენს სიმაღლესა და ძლიერებასა ჩუენსა ქუეყანით დავიწყები-საჲთ, რაჲთა ვიყოთ ერთ სამწყსო და უფალი იყოს მწყემს ჩუენდა. განაძლიერე მსახურებასა შინა უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოჲს კათალიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, დიდი მეუფჱ, მამაჲ ჩუენი ილია, ყოვლადსამღდელონი მიტროპოლიტნი, მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატიოსანნი მღდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი, ზიარნი მართლმადიდებელისა ეკლესიისანი და ყოველნი მართლმორწმუნენი ქრისტეანენი.

ჱ, ჭეშმარიტად ბრძენო მეფეო და ახოვანო მოღუაწეო, გვრგვნოსანო თამარ, დიდებულო! კუალად აღიპყრენ ღუაწლით შემოსილნი ჴელნი შენნი ზეცათა მეუფისა მიმართ, რომლისა წინაშე ღმრთივ-ბრწყინვალითა გვრგვნითა დიდებულ-ხარ, სანატრელო, და

გვითხოვე, რადთა მოჰმადლოს ეკლესიათა დიდებად, სამღდელოთა პატიოსნებად, მთავართა კეთილად მწყსად ერისად, მჴედართა მამაცობად, ერისაგანთა უცოდველობად და დედათა კრძალულებად, ხოლო ჩუენ მოგუანიჭოს კეთილ-მოქალაქობით ცხორებად, ქუელის საქმითა განშუენებად, წმიდითა ლოცვითა განათლებად, აღსარებითა განწმედად, ზიარებითა განბრწყინვებად, პატიოსნად მიცუალებად, სასუფეველსა დამკჳდრებად, ანგელოზთა თანა გალობად, წმიდათა თანა სუფევად, და შენ თანა დიდებად და მადლობად, რამეთუ მისა ჰშუენის ყოველი დიდებად, პატივი და თაყუანისცემად, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ღირს არს ჭეშმარიტად, რადთა გადიდებდეთ შენ, ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად უბიწოდ და დედად ღმრთისა ჩუენისა, უპატიოსნესსა ქერუბიმთასა და აღმატებით უზესთაესსა სერაფიმთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყჳსა ღმრთისასა, მხოლოსა ღმრთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.